პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №

25 თებერვალი, 2026 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის
დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16.07.2014, №010250040.35.123.016211), კერძოდ:

1. დადგენილების დანართის მე-6 თავს (საკრებულოს ფრაქცია) დაემატოს შემდეგი შინაარსის 35^1 მუხლი:

„35^1. 2029 წლის არჩევნებში არჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობამდე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის შექმნა

2029 წლის არჩევნებში არჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობამდე ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლება აქვთ, ამ კანონით მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის შექმნისთვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შექმნან სხვა ფრაქცია თუ ისინი პოლიტიკურმა პარტიამ წარადგინა, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის უპარტიო კანდიდატები ან თუ ისინი დატოვებენ შესაბამისი პოლიტიკური პარტიის წევრობას და გაწევრდებიან სხვა პოლიტიკურ პარტიაში.“

2. შეიცვალოს დადგენილების დანართის მე-40 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 40. ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის მოწვევა

1. ახალარჩეულ საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ახალარჩეული საკრებულოს უფლებამოსილების დაწყებიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა.

2. ახალარჩეული საკრებულოს და მისი წევრების უფლებამოსილება იწყება შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების იმ შემაჯამებელი ოქმის/ოქმების ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-14 დღიდან, რომლითაც/რომლებითაც დასტურდება ამ საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის არჩევა. ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება მოქმედ საკრებულოს.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი- სამდივნო
განყოფილების უფროსი

ბ.სვანიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

წერილის ნომერი:**45-45260484**
თარიღი: **17/02/2026**

ადრესატი:

გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ჭიღვარიას

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი

სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - სამდივნო განყოფილების

უფროსის, ცაგური პატარიძის

მ ო ხ ს ე ნ ებ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გიორგი,

შემდგომი რეაგირებისათვის წარმოგიდგენთ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკრებულოს დადგენილების პროექტს, შესაბამის განმარტებით ბარათთან ერთად.

პატივისცემით,

ცაგური პატარიძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს აპარატი-სამდივნო განყოფილება-განყოფილების უფროსი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ

ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

წინამდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მიღება განპირობებულია საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებით. ამ კოდექსის 25-ე მუხლით ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის მოწვევის დრო - ახალარჩეული საკრებულოს უფლებამოსილების დაწყებიდან არაუგვიანეს 30-ე დღე, შეიცვალა არაუგვიანეს მე-14 დღით. ამასთან, ცვლილება შევიდა საკრებულოს ფრაქციის შექმნის წესში. კოდექსს დაემატა 165[1] მუხლი, რომელიც 2029 წლის არჩევნებში არჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობამდე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის შექმნას შეეხება. ამ მუხლის მიხედვით, ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლება აქვთ, შექმნან სხვა ფრაქცია თუ ისინი პოლიტიკურმა პარტიამ წარადგინა, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის უპარტიო კანდიდატები ან თუ ისინი დატოვებენ შესაბამისი პოლიტიკური პარტიის წევრობას და გაწევრდებიან სხვა პოლიტიკურ პარტიაში.

ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზანია საკრებულოს რეგლამენტის საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისობაში მოყვანა.

2. დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ა) პროექტის მიღებასთან და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

ბ) პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაღებული იქნება მხოლოდ პროექტის მიღებასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები.

3. დადგენილების პროქტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის ინიციატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია.

4. დადგენილების პროექტის შემდგენელი:

დადგენილების პროექტი შეადგინა საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - სამდივნო განყოფილების უფროსმა, ცაგური პატარიძემ.

5. დადგენილების პროექტის წარმდგენი საკრებულოს სხდომაზე:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი–სამდივნო
განყოფილების უფროსი